41 ქართული ოცნება

განვითარება ყველა რეგიონს

ძვირფასო სამტრედიელებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!

თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას. „განვითარება ყველა რეგიონს“ – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.

ჩვენ მიერ წარდგენილი სამტრედიის მერობის კანდიდატისა და სამტრედიის საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს სამტრედიის განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს სამტრედია და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.

სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო

ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘ

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო. ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი საშუალოდ 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10.7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან, შესაბამისად ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ

გასული წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ სამტრედიის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა. მნიშვნელოვნად გაიზარდა ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი: თუ 2013 წელს, ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში სულ გადასახდელები 7,850 მლნ ლარი იყო, 2021 წელს – 12.2 მლნ ლარი შეადგენა. იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიც: სამტრედიის მუნიციპალიტეტმა 2013 წელს გადასახადების ნაწილში შემოსავლების სახით 1,4 მლნ 1.400.0 ათასი ლარი მიიღო, 2021 წელს – 12,2 მილიონი ლარია. ადგილობრივი ბიუჯეტის ზრდა უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის განვითარების მიზნებისა და ამოცანების ეფექტიან განხორციელებას.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ

სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, 2012 წელს არსებული 228 მლნ-დან 2020 წლისთვის 434 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო სურსათის ექსპორტი – 511 მლნ დოლარიდან 942 მლნ დოლარამდე.

სამტრედიის მუნიციპალიტეტში, 2014-2021 წლებში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განახორციელა **გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების 1 პროექტი** (1 249 851 ლარი, თანამონაწილეობა 499 940 ლარი). პროგრამა **„ახალგაზრდა მეწარმე“,** 2018-2021 წლებში, მხარდაჭერილია 1 პროექტი (76 770 ლარი, თანამონაწილეობა 30 708 ლარი). პროგრამით **„დანერგე მომავალი“,** 2015-2021 წლებში, 103 ჰექტარზე განხორციელდა 68 პროექტი (ჯამურად 1 917 852 ლარი). **აგროდაზღვევის პროგრამით,** 2014-2021 წლებში, დაზღვეულია ჯამურად, 380 ჰექტარი (მოსავლის ღირებულება 1 045 048 ლარი), რითაც 526-მა ბენეფიციარმა ისარგებლა. ფერმერებს სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალი 3 105 ლარით აუნაზღაურდათ. **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის** პროგრამით მოქმედებს 8 კოოპერატივი (72 მეპაიე, კაპიტალი 126 550 ლარი). **შეღავათიანი აგროკრედიტით,** 2013-2021 წლებში, ისარგებლა 231-მა უნიკალურმა ბენეფიციარმა და ჯამურად 18 186 879 ლარის პროექტები განხორციელდა (თანამონაწილეობა 3 072 871 ლარი). **სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის თანადაფინანსების პროგრამით** განხორციელდა 7 პროექტი (ჯამურად 216 391 ლარი, თანადაფინანსება 86 556 ლარი). 2020 წლიდან ამოქმედდა **მერძევეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის ხელშეწყობის პროგრამა** (3 პროექტი ჯამურად 245 429 ლარი, თანადაფინანსება 193 200 ლარი) და **აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა** (4 პროექტი ჯამურად 250 044 ლარი, თანადაფინანსება 125 022 ლარი). **სამელიორაციო სამუშაოებზე,** 2013-2020 წლებში, დაიხარჯა 543 529 ლარი. დაშრობილი მიწის ფართობი, 0-დან (2013 წელს) 2 020 ჰექტრამდე (2020 წელს) გაიზარდა.

2013 წლიდან დღემდე ქვეყნის მასშტაბით სახელმწიფოს მხარდაჭერით ცხოველთა მფლობელებისთვის უსასყიდლოდ ხორციელდება სხვადასხვა **ვეტერინარული ღონისძიება**: ვაქცინაცია, ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიული გამოკვლევები, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და სხვა, რაც განაპირობებს მეცხოველეობის განვითარებასა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

სახელმწიფომ **აზიური ფაროსანას** საწინააღმდეგოდ, სამტრედიის მუნიციპალიტეტში, ცივი შესხურებით წლიურად საშუალოდ დაამუშავა 9 010 ჰექტარი, თერმული ნისლის გამოყენებით – წელიწადში 11 340 ჰექტრი. შედეგად მისი რაოდენობა საგრძნობლად შემცირებულია. დღეს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საქართველოს გამოცდილებას საერთაშორისო ექსპერტები სამაგალითოდ აღიარებენ.

- **გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამები, რაც რამდენიმე ასეული ახალი სამუშაო ადგილის შექმნასა და სოფლად დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს;**
- **ქვეყნის მასშტაბით, 2024 წლამდე განხორციელდება 1.2 მლნ ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია, რითაც პრაქტიკულად მიწის რეგისტრაციის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება;**

ᲛᲔᲬᲐᲠᲛᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ

მეწარმეობის განვითარება და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით, მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე.

სახელმწიფო პროგრამით **„აწარმოე საქართველოში“,** სამტრედიაში, დაფინანსდა 2 საწარმო (ჯამურად 407 647 ლარი, დასაქმებულია 9 ადამიანი).

მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამით, „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 362 253 ლარის გრანტი გაიცა. განხორციელდა 444 842 ლარის ინვესტიცია. ჯამურად დაფინანსდა 50 პროექტი (არსებული ბიზნესის გაფართოების მიზნით – 28, ახალი „სტარტაპის“ მხარდასაჭერად 22 პროექტი).

- **გაგრძელდება და გაფართოვდება მეწარმეობის მხარდამჭერი პროექტების თუ სახელმწიფო პროგრამების განხორციელება;**
- **ხელი შეეწყობა ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებას;**
- **წარმოების გასაძლიერებლად გაგრძელდება ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამების დახვეწა და მათი ეფექტიანობის გაზრდა;**

ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲐ

ჩვენი გუნდის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებასა და ადგილობრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას უკავშირდება.

„ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის მიხედვით, 2030 წლისთვის დადგმული სიმძლავრე გაორმაგდება და 10,166 მგვტ-ს მიაღწევს. შიდა რესურსებით გამომუშავებული ელექტროენერგიის მოცულობა კი სამჯერ გაიზრდება და 34 მილიარდ კილოვატ/საათს გაუთანაბრდება.

იმერეთის რეგიონში, მშენებლობა-ლიცენზირების ეტაპზეა 4 ჰიდროელექტროსადგური:

- **ნამახვან ჰესების** კასკადი – დადგმ. სიმძლავრე 433 მგვტ, 800 000 000 აშშ დოლარი;
- **ბუჯა ჰესი 1** – დადგმ. სიმძლავრე 1,72 მგვტ, 2 200 000 აშშ დოლარი;
- **ბუჯა ჰესი 2** – დადგმ. სიმძლავრე 1,05 მგვტ, 1 450 000 აშშ დოლარი;
- **ბუჯა ჰესი 3** – დადგმ. სიმძლავრე 1,99 მგვტ, 3 010 000 აშშ დოლარი.

იმერეთის რეგიონში, **6 ლოკაციაზე მიმდინარეობს ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა,** შემდგომში **ქარის ელექტროსადგურების** ასაშენებლად. აღნიშნული ქარის ელსადგურების ჯამური სავარაუდო დადგმული სიმძლავრე 635 მგვტ-ს აღწევს.

სამტრედიის მუნიციპალიტეტში, 2013-2021 წლებში, **გაზიფიცირებულია** ჯამურად 3 862 აბონენტი. 2013-17 წლებში, **ელექტროენერგიის ინდივიდუალური მრიცხველი** 3207 აბონენტს დაუმონტაჟდა, რითაც სამტრედიაში მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხი სრულად მოწესრიგდა.

ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘ

„ქართული ოცნების“ გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მილიონიდან 2019 წელს (პანდემიამდე) 9,4 მილიონს გაუთანაბრდა.

ტურიზმის განსავითარებლად, 2014 წელს, სამტრედიაში განხორციელდა ტურისტული რესურსების სრული ინვენტარიზაცია. **ტურისტული პოტენციალის ამაღლების მიზნით, განხორ-**

ციელდა შემდეგი პროექტები: აკაკი შანიძის სახლ-მუზეუმის აღდგენა; ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმთან საფეხმავლო მარშუტების მოწყობა და საინფორმაციო ბუკლეტების დამზადება; ბალნეოლოგიური კურორტის აღდგენა/განვითარება; გორმაღალში სამკურნალო წყლების ტურის მოწყობა; მხარეთმცოდნეობის მუზეუმის აშენება/პროექტის შეძენა/დაფინანსება – მხარეთმცოდნეობის მუზეუმის პროექტირება/აშენება; სამტრედიაში არსებული ისტორიულ-კულტურული ნივთების განთავსება; კარვების ქალაქი – საფეხმავლო-სალაშქრო ტურიზმის განვითარების მიზნით, სოფელ გამოჩინებულში, სანდოს მთაზე, მოეწყობა კარვების ქალაქი, სადაც ვიზიტორთათვის მოეწყობა სხვადასხვა ღონისძიებები.

- **მომავალში „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის ქვეყანას 10 მილიონი მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;**
- **2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს;**

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა და გარემოს დაცვა

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარების თვალსაზრისით არაერთი რეფორმა გატარდა. ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისათვის 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია.

სამტრედიის მუნიციპალიტეტი ხასიათდება მცირეტყიანობით, სამტრედიაში, 2013-2019 წლებში, ინდივიდუალური საყოფაცხოვრებო სარგებლობის მიზნით, მოსახლეობაზე გაიცა 12 ათასი კუბ.მ **მერქნული რესურსი.** რეგულარულად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ობიექტების ინსპექტირება.

გარემოს ეროვნული სააგენტო მუდმივად, უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს **ჰიდრომეტეოროლოგიურ დაკვირვებებს** და ავრცელებს გაფრთხილებებს მოსალოდნელი სტიქიური მოვლენების შესახებ. ყოველწლიურად მიმდინარეობს სტიქიური გეოლოგიური პროცესების მონიტორინგი.

- **სამომავლოდ გაფართოვდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგის და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემები;**
- **გაგრძელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ;**
- **გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს;**
- **ხელისუფლების გეგმის თანახმად, 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მილიონ ჰექტარს გაუთანაბრდება.**

ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურება

2022-2023 წლებში, სამტრედიის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესება-განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება.

2013-2020 წლებში, სამტრედიაში, **ადგილობრივი მნიშვნელობის** გზების რეაბილიტაცია-მშენებლობაზე, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან, ჯამურად 27,6 მლნ ლარამდე დაიხარჯა. აშენდა 3 და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 3 ხიდს. **სტიქიით** დაზიანებული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ სახელმწიფომ 3,315 მლნ ლარი გამოყო.

ხელისუფლების გეგმით, 2021-2025 წლებში, მუნიციპალიტეტის **ინტერნეტით უზრუნველყოფის** მიზნით, იგეგმება მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ქსელის მშენებლობა, შედეგად, სამტრედიის 16 დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ 2 307 ოჯახს მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომის საშუალება ექნება.

2014-2020 წლებში, სამტრედიაში, **წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ქსელის** განვითარებაზე, მუნიციპალური და ცენტრალური ბიუჯეტიდან, ჯამურად 15 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა. ხელისუფლების გეგმით, 2021-2023 წლებში, დამატებით 2,5 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯება. **კერძოდ, სამტრედიაში უკვე მიმდინარეობს ან იგეგმება შემდეგი წყალმომარაგების პროექტები:**

- **ქ. სამტრედიის წყალარინების №4 გადამქაჩი სატუმბი სადგურის რეაბილიტაცია – 32 423 ლარი;**
- **ქ. სამტრედიის სათავე/ნაგებობის რეაბილიტაცია – 2 688 445.00 ლარი.**

2021-2022 წლებისთვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტში, დაგეგმილია ან უკვე განხორციელების ფაზაშია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- ტოლების ადმ. ერთეულის სოფ. ზემო ნოღაში ბეტონის გზის გაგრძელება I ეტაპი – 166 849 ლ;
- ტოლების ადმ. ერთეულის სოფ. ზემო ნოღაში ბეტონის გზის გაგრძელება სოფლის კლუბამდე – 132 927 ლ;
- სოფ. ეწერში, სასაფლაოს გავლით ე.წ. საწურბლიამდე, (I მონაკვეთი) ა/ბეტონის საფარის დაგება – 164 000 ლ;
- სოფ. ეწერში, №8 საჯარო სკოლიდან პატარა ეწრის სასაფლაომდე ა/ბეტონის საფარის დაგება(გაგრძელება) – 113 675.00 ლ;
- სოფ. ბაშში, მეორე ეწერისკენ ა/ბეტონის საფარის დაგება – 331 821 ლ;
- სოფ. გომის ცენტრალური გზიდან სასაფლაოსკენ ბეტონის საფარის დაგება – 172 373 ლ;
- სოფ. გომნატეხებში, გორისძირში ბეტონის გზის მოწყობა – 160 780.00 ლ;
- სოფ. ქაგანში, საჯარო სკოლიდან დიდი ჯიხაიშისკენ ა/ბეტონის დაგება-198 991.00 ლ;
- სოფ. გორმაღალში ბეტონის საფარის დაგება (გაგრძელება) – 272 564.00 ლ;
- დაბა კულაშში, ვაჟა-ფშაველას, ქუთაისის, რესპუბლიკის მე-2 ჩიხი, რუსთაველის I და II ჩიხების ა/ბეტონის საფარის დაგება – 81 078.00 ლ;
- სოფ. ნოღაში, აკაკი შანიძის სახლ-მუზეუმისკენ ბეტონის გზის მოწყობა – 73 276 ლ;
- სოფ. ნინუაკუთხეში, ე.წ. ჩაისუბანში, ა/ბეტონის საფარის დაგება– 89 076 ლ;
- სოფ. ნაბაკევში, ქუთათელაძის ქ. ა/ბეტონის საფარის დაგება – 94 716 ლ;
- სოფ. ხუნჯულაურში მეიშვილების უბანში, ა/ბეტონის საფარის დაგება – 88 352.00 ლ;
- სოფ. ეწერში, ეკლესიიდან სასაფლაოს გავლით, ე.წ. საწურბლიამდე, ა/ბეტონის მოწყობა II მონაკვეთი – 104 207 ლ;
- ქ. სამტრედიაში, ქაროსანიძის I ჩიხი, 300 არაგველის, ვახუშტის, არაგვისპირელის, ვეკუას ქუჩებზე, აღმაშენებლის V ჩიხის, ძვ.სამტრედიის ქუჩაზე სასაფლაოს სამხრეთი, ნიკოლეიშვილის I ჩიხში ა/ბეტონის საფარის დაგება – 250 690.00 ლ;
- ქ. სამტრედიაში, დიდგორის I ჩიხი და III შეს., რესპუბლიკის VI და VIII ჩიხების, ახალგაზრდობის I შეს. ა/ბეტონის საფარის დაგება – 148 644.00 ლ;
- ქ. სამტრედიაში, ჯავახიშვილის ქუჩაზე, ა/ბეტონის საფარის დაგება – 106 768.00 ლ;
- სოფ. იანეთში, №4 გზაზე ა/ბეტონის საფარის დაგება – 185 435.00 ლ;
- ქ. სამტრედიაში, ორპირის ქუჩაზე და ეგრისის II ჩიხში ა/ბეტონის საფარის დაგება – 93 055.00 ლ;
- სოფ. ღანირში სოფ. გვაზაურისკენ ა/ბეტონის საფარის მოწყობა – 214 103.00 ლ;
- სოფ. დიდ ჯიხაიშში გ.ნიკოლაძის სახელობის არასრული საჯარო სკოლის პარალელურ ქუჩაზე, №31 ქუჩის I შესახვევში; №32-№35-№36 და №8-№9 ქუჩებზე ა/ ბეტონის საფარის დაგება – 424 251 ლ;
- ქ. სამტრედიაში, ჭანტურიას ქ. – ჭავჭავაძის ქუჩიდან თბილისის ქუჩისკენ, კოსტავას II შესახვევი, რესპუბლიკის ქუჩაზე ნინოშვილის ქუჩიდან რუსთაველის ქუჩის კვეთამდე, 26 მაისის I ჩიხში, ა/ბეტონის მოწყობა – 236 523 ლ; ასევე რობაქიძის №1; №2; №3; №6 №8 ჩიხებში; №2 შესახვევში, მელაურის ადმინ. ერთ №4 ჩიხში, წერეთლის ქ. ილორის სასაფლაოდან ეკლესიამდე მისასვლელ გზაზე ა/ბეტონის საფარის დაგება – 302 159 ლ;
- სოფ. ქაგანი, სკოლიდან სოფ. მიწაბოგირისკენ, ასფალტო/ ბეტონის საფარის მოწყობა – 321 704.00 ლ;
- დაბა კულაში, რაზმაძის ქუჩიდან სოფ. მიწაბოგირისკენ ა/ბეტონის საფარის დაგება – 144 563.00 ლ;
- სოფ. ღანირში, ე.წ. ნაბოსტნარის ქ. ა/ბეტონის საფარის დაგება – 85 188.00 ლ;
- დაფნარი-ოფეთის მიმართულებით ბეტონის საფარის მოწყობა – 275 383 ლ;
- **აქტიურ ფაზაშია რიკოთის უღელტეხილზე საერთაშორისო მნიშვნელობის მაგისტრალის მშენებლობის პროექტი. კერძოდ, ამ ეტაპზე მშენებლობა ერთდროულად მიმდინარეობს ზემო ოსიური-ჩუმათელეთის, ჩუმათელეთი-ხევის, ხევი-უბისას, უბისა-შორაპნის და შორაპანი-არგვეთას მონაკვეთებზე. აღნიშნული პროექტების ჯამური საინვესტიციო მოცულობა 2,8 მილიარდ ლარს აღემატება. სახელმწიფოს გეგმის თანახმად, 2023 წლამდე სხვადასხვა მონაკვეთების დასრულება ეტაპობრივად იგეგმება.**

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲑᲐᲮᲢᲐᲫᲔ: „ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲒᲐᲕᲐᲙᲔᲗᲔᲑ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲠᲐᲚᲘᲢᲔᲢᲐᲓ ᲕᲐᲥᲪᲘᲝᲗ“

ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐᲨᲘ ᲛᲐᲛᲘᲡ – ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲑᲐᲮᲢᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲡ. ᲡᲮᲕᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲡ ᲤᲐᲥᲢᲘ ᲐᲙᲘᲡᲠᲔᲑᲡ ᲛᲐᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ.

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲛᲐᲛᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲗᲐᲕᲐᲓᲐᲪ ᲒᲐᲐᲪᲜᲝ ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐᲡ ᲗᲐᲕᲘ – ᲐᲥ, ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲠᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲣᲡᲕᲚᲔᲚᲐᲓ, ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ 25-ᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲢᲐᲟᲘ ᲐᲥᲕᲡ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲛᲒᲔᲑᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲪ ᲘᲧᲝ.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲑᲐᲮᲢᲐᲫᲔ ᲐᲛᲯᲔᲠᲐᲓ ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲘᲡ ᲛᲔᲠᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲑᲠᲫᲕᲘᲡ. ᲣᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲬᲕᲚᲘᲚᲘ ᲨᲔᲘᲢᲐᲜᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲪᲝᲓᲜᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐᲡ ᲛᲝᲐᲮᲛᲐᲠᲝᲡ. ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ. ᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ, ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲝᲑᲘᲡ, ᲛᲐᲛᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲕᲚᲘᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ ᲘᲡᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲖᲣᲠᲒᲡ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲒᲣᲜᲓᲘ, ᲣᲐᲚᲢᲔᲠᲜᲐᲢᲘᲕᲝ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ“ ᲣᲛᲐᲒᲠᲔᲑᲡ.

ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲘᲡ ᲛᲔᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲑᲐᲮᲢᲐᲫᲔ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ, ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲘᲡ, ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲔᲞᲘᲖᲝᲓᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲒᲕᲘᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲡᲐᲪ ᲒᲕᲘᲛᲮᲔᲚᲡ:

– დავიბადე სამტრედიაში. მამა, ამირან ბახტაძე პროფესიით მშენებელ-ინჟინერი გახლდათ. წლების განმავლობაში სამეურნეო დარგის მუშაკი იყო, სხვადასხვა დროს ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობდა და ბოლოს, ერთ-ერთი დიდი გაერთიანების დირექტორის მოვალეობასაც ასრულებდა. დედა, ლუიზა გაგუა, პროფესიით პედაგოგი და ამჟამად პენსიონერია, ხოლო ძმა, ავთანდილ ბახტაძე, ხის დამუშავების ტექნოლოგია. მშვიდ ოჯახში ვიზრდებოდი, თუმცა საკმაოდ ცელქი ბავშვი ვიყავი, ამასთანავე სკოლაში ერთ-ერთი სანიმუშო მოსწავლეც გახლდით. დავამთავრე სამტრედიის მე-4 საჯარო სკოლა. სპორტითაც ვიყავი გატაცებული. ბავშვთა ფეხბურთის პირველთანრიგოსანი და ჭაბუკთა ნაკრების წევრი ვიყავი. ფეხბურთის პარალელურად, კალათბურთი, ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთიც ხშირად მითამაშია და საკმაოდ კარგად გამომდიოდა. ჩემს აღზრდაში ორივე მშობელი აქტიურად იყო ჩართული. მამა საქმიანობიდან გამომდინარე, სულ მოუცლელი გახლდათ, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ყურადღება მაკლდა.

– მამას თქვენზე დიდი გავლენა ჰქონდა და პროფესიის არჩევაშიც ხომ არ დაგეხმარათ?

– 1991 წელს დავამთავრე სკოლა. არეულობა იყო ქვეყანაში და ცხადია, სპორტული კარიერის გაგრძელებაზე არ მიფიქრია. სწავლა ვარჩიე. იმ წელსვე ჩავაბარე უმაღლეს სასწავლებელში. დიახ, პროფესიის არჩევისას მამამ მიმართულება მომცა. თუმცა მეც, მისი საქმიანობის გავლენით, ტექნიკური მიმართულება მქონდა არჩეული. მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი დავასრულე და საგზაო-სამშენებლო მანქანა-მოწყობილობების ინჟინერი გახლავართ.

– ათეულ წელზე მეტი სამტრედიის კომუნალური მეურნეობის გაერთიანებაში იმუშავეთ. რა ფუნქციას ასრულებდით და რატომ აღმოჩნდა ეს საქმიანობა თქვენთვის ასე საინტერესო?

– ადგილობრივი კომუნალური მეურნეობის გაერთიანებაში 17 წელი ვიმუშავე. ამ ხნის განმავლობაში სამსახურმა სტრუქტურული ცვლილებებიც განიცადა, სამართლებრივი ფორმებიც იცვალა, მაგრამ მე მისი ერთგული ვიყავი. მომწონდა და მაინტერესებდა საქმე, რასაც ვაკეთებდი. ყველაზე დაბალი – სახლმმართველობის განყოფილების სპეციალისტის პოზიციიდან დავიწყე. შემდეგ გაერთიანების დირექტორის მოადგილე ვიყავი და ბოლო წლები დირექტორად დავინიშნე. ფაქტობრივად, მთელი ახალგაზრდობა ამ სამსახურში გავატარე. სამტრედიის ტიპის მუნიციპალიტეტში ასეთი სამსახურის ფუნქციონირება მნიშვნელოვანია – ქალაქის იერსახეზე გავლენას ახდენს. იქ ბევრი გამოცდილი კადრი დამხვდა და მათგან ბევრი რამ ვისწავლე. დღემდე მადლიერი ვარ იმ ადამიანების. სამეურნეო დარგში ქალაქისთვისაც საკმაოდ კარგი ნაბიჯები გადავდგით. მეამაყება, რომ მშობლიური ქალაქიდან გაუსვლელად მაქვს მუშაობის 25-წლიანი სტაჟი.

– გამგებლის პირველი მოადგილის და მერის მოადგილის თანამდებობაზე ყოფნის სტაჟიც გაქვთ. თავის დროზე პოლიტიკურად რატომ გააქტიურდით და „ქართული ოცნების“ გუნდს რატომ შეუერთდით?

სხვა პარტიისგან შემოთავაზებას არ დავთანხმდებოდი – მხოლოდ „ქართული ოცნების“ პოლიტიკური პლატფორმა იყო და არის ჩემთვის მიმზიდველი. ვგრძნობ, ვიცი და დარწმუნებული ვარ, რომ „ქართული ოცნება“ არის ერთადერთი პოლიტიკური გუნდი, რომელიც ორიენტირებულია ქვეყნის განვითარებასა და ნათელ მომავალზე. როცა შემომთავაზეს გამგებლის პირველი მოადგილეობა მივხვდი, რომ ეს ის თანამდებობა იყო, რომლითაც ჩემს მუნიციპალიტეტს მეტად გამოვადგებოდი.

– რა შეიცვალა სამტრედიაში ხელისუფლებაში „ქვეყნის განვითარებაზე ორიენტირებული“ გუნდისა და თქვენი მოსვლის შემდეგ?

– პირველ რიგში ის შეიცვალა, რომ ადგილობრივ თვითმმართველობაში, ყველა მიმართულებით მეტი პროგრამა ხორციელდება. ვგულისხმობ არა მხოლოდ ინფრასტრუქტურულს, რომელიც თვალშისაცემია, არამედ სოციალურ პროგრამებს. სოციალური პროექტები გამრავალფეროვნდა და მათი დაფინანსება გაიზარდა. კულტურის, განათლებისა და სპორტის მიმართულებითაც გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები. ჩვენთან სამსახურში შემუშავდა ეკონომიკური განვითარების გეგმაც. პირველი მოადგილის პოზიციაზე, საფინანსო მიმართულებას ვკურირებდი და მინდა გითხრათ, რომ გუნდთან ერთად შემოსავლების, ახალი წყაროების მოძიებაში ბევრი სასარგებლო რამ მაქვს გაკეთებული. არც შემიძლია არ აღვნიშნო, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები. მრავალი კილომეტრი გზა დაიგო. ყოველწლიურად, სტაბილურად, თითქმის 30 კმ შიდა საქალაქო გზა კეთდება. ქალაქის ცენტრალურ ძირითად ნაწილში საგზაო ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია. მოწესრიგებულია სხვადასხვა ადმინისტრაციული ერთეულების მაგისტრალური გზებიც. ამჟამად სამუშაოები გარეუბნებსა და ჩიხებში მიმდინარეობს. ხელისუფლებაში ჩვენს მოსვლამდეც არსებობდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა, მაგრამ არ იყო მასშტაბური. 100-მდე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსია სამტრედიის მუნიციპალიტეტში. მობინადრეები უმეტესად გადახურვითი სამუშაოების შესრულებას გვთხოვდნენ. თანადაფინანსებით მათ უწევდათ 15%-ის გადახდა. მოსვლისთანავე შევუმსუბუქეთ პირობები და მათი თანადაფინანსება დავიყვანეთ 5%-ზე. ანუ, თანხის 95%-ს ვაფინანსებდით ადგილობრივი ბიუჯეტიდან, მობინადრეებს კი მხოლოდ 5%-ის გადახდა უწევდათ. გარდა ამისა, 100%-ით ვაფინანსებთ ეზოების მოწესრიგებას, მოასფალტებას და ცენტრალური ინფრასტრუქტურის მოწყობას. მგავსი არაერთი პროგრამა განვახორციელეთ. კეთილმოეწყო მრავალბინიანი კორპუსების ფასადები. შეიცვალა გარეგანათების ქსელი. მოძველებული ტიპის სანათები, ახალი, ეკონომიური, ენერგოეფექტური ნათურებით შევცვალეთ და მომდევნო, ელექტროენერგიის ხარჯის ეკონომიამ 60%-ით აგვინაზღაურა სანათების გამოცვლისთვის გაწეული ხარჯი. ამჯერად, თუ სადმე ხორციელდება გარეგანათების პროგრამა, ყველგან კეთდება ენერგოეფექტური ნათურები.

– პრემიერ-მინისტრის მიერ ინიცირებული პროგრამის – „განახლებული რეგიონების“ ფარგლებში, სამტრედიაში რა მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებაა დაგეგმილი?

– პრემიერ-მინისტრის მიერ დაანონსებული ეს პროგრამა მუნიციპალური განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია. ცხადია, სამტრედიაც არ არის გამონაკლისი და ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ ნაწილში ხორციელდება 4 მრავალბინიანი კორპუსის ფასადების რეაბილიტაცია და მიმდებარე

დაიბადა 1974წლის 17 მაისს, ქალაქ სამტრედიაში. 1991 წელს დაასრულა სამტრედიის IV საშუალო სკოლა; 1996 წელს – ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტის მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი, 1999 წელს კი – საქართველოს აგრარულ მეცნიერებათა აკადემიის აგრობიზნესის ორგანიზაციისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი.

1996-1997 წლებში მუშაობდა ქ. სამტრედიის საგადასახადო ინსპექციაში, ინსპექტორად; 1997-2005 წლებში – სამტრედიის საქალაქო მშენებლობისა და კომუნალური გაერთიანების სახლმმართველობის განყოფილების უფროს სპეციალისტად. 2005-2010 წლებში იყო შპს „სამტრედიის საქალაქო მშენებლობისა და კომუნალური მეურნეობის გაერთიანების“ დირექტორის მოადგილე; 2010-2014 წლებში – ა(ა)იპ „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანების“ დირექტორი. 2014-2017 წლებში მუშაობდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველ მოადგილედ, 2017 წლის 14 ნოემბრიდან კი სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილედ.

ჰყავს მეუღლე და 2 შვილი.

ინფრასტუქტურის მოწესრიგება. სამტრედია სარკინიგზო კვანძია და თამარ მეფის ქუჩას ესაზღვრება სარკინიგზო შემოსასვლელი. ეს ადგილი, სადაც პროექტი ხორციელდება, სამტრედიის სავიზიტო ბარათად შეიძლება იქცეს იმ ადამიანებისთვის, ვინც ქალაქს მატარებლის ფანჯრიდან გადმოხედავს. იმედია, მომავალშიც გაგრძელდება ეს პროგრამა, რომელიც ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომლობის საუკეთესო მაგალითია.

– რადგან „სავიზიტო ბარათი“ ვახსენეთ, სამტრედიას ტურისტული პოტენციალი აქვს?

– დავიწყებ იმით, რომ სამტრედია, ისევე, როგორც ბევრი სხვა მუნიციპალიტეტი, დგას გამოწვევის წინაშე, რომელსაც ჰქვია უმუშევრობა. ამ გამოწვევას კი, ახალი სამუშაო ადგილების შექმნით უნდა ვუპასუხოთ. ის მასშტაბური პროექტები, რომლებზეც უკვე ვისაუბრეთ, იძლევა როგორც კვალიფიციური, ისე არაკვალიფიციური მუშახელის დასაქმების შესაძლებლობებს. თუმცა, პარალელურად, უნდა განვითარდეს სხვა მიმართულებები. სამტრედიას აქვს სამედიცინო ტურიზმის უდიდესი პოტენციალი – 1990-იან წლებამდე ჩვენთან ფუნქციონირებდა ბალნეოლოგიური კურორტი „სამტრედია“. აქ უნიკალური თვისებების მქონე, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი თერმული წყალი 1400 მ. სიღრმის ჭაბურღილიდან მოედინება და ჭაბურღილიდან გამოსვლის მომენტში, მისი ტემპერატურა 61,5 გრადუსი ცელსიუსია. დღეს ეს წყალი მხოლოდ სასათბურე მეურნეობაში გამოიყენება – ლიცენზიის მფლობელს 25 წლით აქვს აღებული წყალი და იყენებს სასათბურე მეურნეობაში. ეს ცუდი არ არის, რადგან იქ 50-მდე ადამიანია დასაქმებული და სხვადასხვა სახეობის პროდუქტი მოჰყავთ, მაგრამ ეს წყალი მისი პირდაპირი დანიშნულებითაც რომ გამოვიყენოთ, კარგი იქნება. ამ კუთხით რამდენიმე წელია ვმუშაობთ, გვაქვს კონტაქტები სახელმწიფო უწყებებთან, ლიცენზიის მფლობელებთან და იმედია, სამომავლოდ, შევძლებთ, ეს უნიკალური წყალი სამკურნალო-გამაჯანსაღებელი დანიშნულებით გამოვიყენოთ.

– რა სამკურნალო თვისებები აქვს ამ წყალს და რა დაავადებებისთვის არის მისი გამოყენება კარგი?

– წლების წინ, ჯანდაცვის მაშინდელი მინისტრის, ამირან გამყრელიძის ბრძანებითაა დადგენილი ამ წყლის სამკურნალო-გამაჯანსაღებელი თვისებები. საკმაოდ ბევრ დაავადებას უხდება. უნიკალური წყალია. კარგია ძვალ-კუნთოვანი სისტემების რეაბილიტაციისთვის, გულ-სისხლძარღვთა სისტემისთვის, პანკრეასის, ღვიძლისთვის, გინეკოლოგიური დაავადებების დროს... საბჭოთა კავშირის დროს, საკავშირო მნიშვნელობის კურორტს დამსვენებლები სხვადასხვა რესპუბლიკიდან აქ წლის განმავლობაში უხვად ჰყავდა. გარკვეული გათვლებით, აქ კურორტის დაფუძნების შემთხვევაში, ათასამდე ოჯახი მიიღებს დამატებით შემოსავალს.

– სამტრედიელები შემოსავალს სოფლის მეურნეობით თუ იღებენ და თუ სარგებლობენ პროგრამებით, რომლებსაც მათ ხელისუფლება სთავაზობს?

– გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო მრავალ მასშტაბურ პროექტს ახორციელებს. თვითმმართველობამ კი, უნდა განახორციელოს ისეთი პროგრამა ან პროექტი, რომელიც არ იქნება დუბლირებული. მსგავსი გამოცდილება უკვე გვაქვს. მსურველთათვის მიწის ანალიზები გავაკეთეთ. გარკვეულ კვლევით ცენტრთან გავაფორმეთ ხელშეკრულება და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, დაახლოებით 70-მდე მოსახლის მიწა შევაფასეთ. კვლევით ცენტრის დასკვნების საფუძველზე, ტერიტორიის ამა თუ იმ მოსარგებლეს, მიეცა საშუალება გაეგო, მის საკუთრებაში არსებული ნაკვეთი, რომელი მცენარის ან ბოსტნეულის მოსაყვანად უფრო შესაფერისია. ეს ბევრ მათგანს დაეხმარა წარმატებული საქმიანობის წამოწყებაში. მსგავსი პროექტების განხორციელებას მომავალშიც აუცილებლად ვაპირებთ.

– კიდევ რას აპირებთ, რა გეგმები გაქვთ მშობლიურ სამტრედიასთან დაკავშირებით და რა გამოწვევების წინაშე დგას მუნიციპალიტეტი?

– სამტრედიაში საკმაოდ ბევრი გამოწვევაა. მათ შორის, მოსაწესრიგებელია სასმელი წყლისა და კანალიზაციის სისტემები. მასშტაბური სამუშაოებია ჩასატარებელი, რადგან ქალაქში ქსელი მთლიანად ამორტიზებულია. ასევე მოსაწესრიგებელია სანიაღვრე სისტემები. სამტრედია არ არის მარტო დაბლობი ზონა, ჩვენთან შემოდის 6 ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც მდებარეობს მთიან ზონაში. მათი წყალმომარაგების პრობლემა გადაჭრილია წყაროებიდან მომარაგები. სხვადასხვა წყარო მიმაგრებული ოჯახებისთვის პერიოდულად ისევ იქმნება ხოლმე სასმელი წყლით მომარაგების პრობლემა. ამ საკითხის გადაჭრა მთიანი ზონის მაცხოვრებლებისთვის უმნიშვნელოვანესია. კარგია, რომ წყალმომარაგების ქსელის მოწესრიგებისთვის მზადება უკვე დაწყებულია ქალაქის ტერიტორიაზე. წინასაპროექტო კვლევა ჩატარდა, გერმანიის განვითარების ბანკსა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის გარკვეული შეთანხმებები უკვე მიღწეულია და იმედია, ეს მასშტაბური პროექტი განხორციელდება. კიდევ ერთი გამოწვევა სამტრედიისთვის არის სპორტული ინფრასტრუქტურა. სამტრედია ცნობილია სპორტული მიღწევებით. მხოლოდ ის რად ღირს, რომ კახა კალაძე წარმოშობით სამტრედიიდანაა, აქ გაიზარდა, აქ დაეუფლა ფეხბურთის ხელოვნებას და დღეს საქართველოში, ნომერ პირველი ტიტულოვანი ფეხბურთელია. ახალი სტადიონის მშენებლობა, სხვადასხვა მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა, სპორტული მოედნების მშენებლობა – ეს ყველაფერი განხილვის საგანია და იმედია, ჩემი არჩევის შემთხვევაში, ამ საკითხების მოგვარებაში გარკვეულ წვლილს შევიტან.

– იმის იმედიც გაქვთ, რომ სამტრედიელები მხარს დაგიჭერენ და არჩევნებში გაიმარჯვებთ?

– დარწმუნებული ვარ, გავიმარჯვებ! ამის მიზეზი ისაა, რომ მე ვარ მმართველი გუნდის, „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი. გუნდმა დიდი ნდობა გამომიცხადა და ვეცდები ჩემი თავდაუზოგავი შრომით, იმედები გავამართლო. ეს ნდობა უდიდეს პასუხისმგებლობას მანიჭებს. ასევე, პასუხისმგებლობის გრძნობას მიმძაფრებს მოსახლეობის დამოკიდებულება , მათი სიყვარული და პატივისცემა,როგორც კი გაჟღერდა, რომ კანდიდატად მოვიაზრებოდი, უამრავმა ადამიანმა გამოხატა ჩემი მხარდაჭერა. იმდენმა და ისეთმა, არც კი ველოდი. ამან უდიდესი გავლენა იქონია ჩემზე და გამიასმაგდა სურვილი, გამოვადგე ჩემ სამტრედიას, სამტრედიელებს. არჩევნებზე ალბათ მამის ავტორიტეტიც წამადგება. მისი გარდაცვალების შემდეგ, ქუჩას, სადაც ვცხოვრობთ, მისი სახელი მიენიჭა. წარმოიდგინეთ, ესეც რამხელა პასუხისმგებლობას მანიჭებს – ისეთი რამ არასდროს უნდა გავაკეთო, მის უკვდავ სახელს ჩრდილი მიადგეს. და პირიქით, ყველაფერი უნდა გავაკეთო იმისთვის, რომ სამტრედიელებს თავი დავამახსოვრო, როგორც „საუკეთესო მერმა“!

საამაყო ოჯახი და კანდიდატის სტიქია

დავით ბახტაძის მეუღლე ქეთევან კახაძე პროფესიით პედაგოგი, დაწყებითი კლასების მასწავლებელია. წყვილს 2 შვილი ჰყავს: ანი და ამირანი.

ანიმ სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა. ქუთაისში, აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტში ეკონომიკურ ფაკულტეტზე გრანტით ჩაირიცხა და სტიპენდიანტია. მაინორ პროგრამად არჩეული აქვს საერთაშორისო ურთიერთობები და ასევე გადის ამავე სასწავლებლის პროფესიულ პროგრამას – „ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება“. მამა ძალიან ბედნიერია ანის მიღწევებით და მასზე დიდ იმედებს ამყარებს.

დავით ბახტაძის კიდევ ერთი იმედი, ცნობილი ბაბუის სეხნია, 12 წლის ამირანია. ამიკო ნიჭიერია და სკოლაშიც კარგად სწავლობს. უყვარს ფეხბურთი, კალათბურთი და ბოლო დროს, ჭიდაობითაც დაინტერესდა.

კანდიდატს ყველაზე მეტად გული იმაზე სწყდება, რომ ბავშვებს დიდ დროს ვერ უთმობს. „სახლიდან რომ გამოვდივარ, სძინავთ და ხშირად ისეთ დროს ვბრუნდები, ისევ ჩაძინებულები მხვდებიან“, – უცნაურად სევდიანი ტონით გვიამბობს ბატონი დავითი, თუმცა იმასაც დასძენს, რომ ოჯახის წევრები მის წასვლასაც და დაბრუნებასაც ყოველთვის გრძნობენ. როგორც კი დრო გამოუჩნდება, გული სახლისკენ მიუწევს. ცოლ-შვილთან ურთიერთობა, მისთვის ადრენალინივითაა. თუ ამინდიც ხელს უწყობს და განწყობაც, კორპუსთან ახლოს, სტადიონზე, ახალგაზრდებთან ერთად კალათბურთს, ფეხბურთს ან ჩოგბურთს ითამაშებს. თუ არა, საოჯახო ბიბლიოთეკიდან წიგნებს გადმოიღებს და ვაჟთან ერთად საოცარ სამყაროში იმოგზაურებს...

როცა ოჯახის წევრებმა გაიგეს, რომ მერობის კანდიდატად განიხილებოდა, მხარი დაუჭირეს და გულშემატკივრობენ, რადგან იციან, რომ დავითისთვის თავისი ქალაქის კეთილდღეობაზე ზრუნვა ცხოვრების მთავარი მოტივაციაა.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

ჯანმრთელობის დაცვა

„ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესი ღირებულება არის ადამიანი, ხოლო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ადამიანზე, მის ღირსებაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.

2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება.

2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო. 2013-2020 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, **სამტრედიის მუნიციპალიტეტზე,** გამოიყო 49 782 759 ლარი, დაფინანსდა 96 749 შემთხვევა, მათ შორის: **გეგმური ამბულატორიული** (5 309 193,5 ლარით 321 639 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბულატორიული** (4 012 654 ლარით 59 024 შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (30 309 312 ლარით 20 458 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (7 677 548 ლარით 7 369 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (2 230 240 ლარით 3 704 შემთხვევა) და **ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** (2 339 000 ლარით 4 181 შემთხვევა). **გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპია/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი 8 000 ლარის ოდენობით.**

ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. 2017-2021 წლებში (ივლისის მდგომ.), პროგრამით, **სამტრედიის მუნიციპალიტეტში,** დაფინანსდა 3 688 ბენეფიციარი (209 634 ლარი). 2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონი ლარიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა 5 ახალი ვაქცინა. **სამტრედის მუნიციპალიტეტში** იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი შეადგენს 81.5 %. **ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით** განხორციელებული ღონისძიებების შედეგად,. უკანასკნელ წლებში შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება – 2013 წლის შემდეგ, **სამტრედიაში,** სტაციონარული მკურნალობით 204-მა (682 197 ლარი), ამბულატორიული მომსახურებით – 1 786-მა პაციენტმა (180 487 ლარი) ისარგებლა. **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში** ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით. 2013-2020 წლებში, **მუნიციპალიტეტში** ანტენატალური სერვისის მიმღებია 5 953 ორსული (320 193 ლარი), მედიკამენტებით უზრუნველყოფილი – 1322.

2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. **სამტრედის მუნიციპალიტეტიდან** მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 1 577 პირი (311 811 ლარი). 2012 წლის შემდეგ, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის** მოსახლეობისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა **სამედიცინო მომსახურების დაფინანსება პრიორიტეტულ სფეროებში,** მათ შორის: ფსიქიკური ჯანმრთელობის, დიაბეტის მართვის, დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის, რეფერალური მომსახურების პროგრამების დაფინანსება. **რეფერალური მომსახურების პროგრამის განვითარების შედეგად,** გაიზარდა სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მიწოდება. **სამტრედიაში,** 2013-2021 წლებში, სულ 503 შემთხვევა 1330 045 ლარით დაფინანსდა. **2013 წლიდან ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის განახლებული ქსელის მოწყობა.** პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან სახელმწიფოს სრული კომპეტენცია გახდა **„სოფლის ექიმის“ პროგრამის** მართვა. 2014 წლის მაისიდან 30%-ით გაიზარდა **სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი;** 2019 წელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის ექიმები/ექთნები გადავიდნენ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში, სახელმწიფო აფინანსებს მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ხარჯებს. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად დარეგისტრირების შემთხვევაში, სოფლის ექიმები/ექთნები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. **სამტრედიის მუნიციპალიტეტს 36 სოფლის ექიმი და ექთანი ემსახურება.**

2019 წელს, სამტრედიის მუნიციპალიტეტში, დასრულდა ამბულატორიების სრული/ნაწილობრივი რეაბილიტაცია სოფლებში: ტოლები (24 402 ლარი), დიდი ჯიხაიში (31 130 ლარი), გორმაღალი (20 398 ლარი), დაბა კულაში (23 439,0 ლარი) საჯავახო (3 895 ლარი). **დაგეგმილია** ახალი ამბულატორიების მშენებლობა სოფლებში: გომი, ზემო ნოღა, ოფეთი, ახალი ამბულატორიების მოწყობა/რეაბილიტაცია/სრული რეაბილიტაცია სოფლებში – ღანირი, იანეთი, გამოჩინებული, ბაში, ნაბაკევი, მელაური, ეწერი. **2018 წელს დასრულდა –** ქ. სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. №86, დევნილთა ბინების სრული რეაბილიტაცია (79 ბინა), რაზეც 2 152 503 ლარი დაიხარჯა.

2013 წელთან შედარებით 6,5-ჯერ გაიზარდა სამტრედიის მუნიციპალური ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება. 2020 წელს ჯანმრთელობის დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 521,4 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი კი 80,1 ათასი ლარი იყო.

2012 წლიდან დღემდე მუნიციპალიტეტი, ჯანდაცვის სფეროში ახორციელებს მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების პროგრამას (ოპერაციების, გამოკვლევებისა და მკურნალობის თანადაფინანსება), რომლის ბიუჯეტი 2021 წელს, 2015 წელთან შედარებით 103,5 ათასიდან (დაფინანსდა 290 ბენეფიციარი) 801,9 ათას ლარამდე გაიზარდა. დღეისათვის 393,1 ათასი ლარით დაფინანსებულია 831 ბენეფიციარი. სოციალურად **დაუცველი მოქალაქეების მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამით,** 2015-2018 წლებში, 1820-მა ბენეფიციარმა ისარგებლა (პროგრამა შეჩერდა 2018 წელს).

ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად:

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ხარისხიან ჯანმრთელობის დაცვის სერვისებსა და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- განხორციელდება ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და პრიორიტეტულ სფეროებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება სოფლის ექიმისა და ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები;

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲪᲕᲐ

2012 წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.

2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები: 2012 წლისათვის **საპენსიო ასაკის პირთა პენსია** 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი -275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არა უმეტეს 100 კვტ/სთ). **სამტრედიის მუნიციპალიტეტში**, სახელმწიფო პენსიის მიმღები 11 447 პირია (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, თითქმის 2.3-ჯერ, 13 631 856-დან 30 999 858 ლარამდე გაიზარდა პენსიების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი – 2013-2021 წლებში, სულ 195 867 178 ლარი დაიხარჯა. **სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის** გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, **შესაძლებლობის შეზღუდვის** და **გარდაცვალების გამო** გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. **სამტრედიაში,** სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები (01.04. 2021 წ. მდგომ.) 260 პირია. 2012 წლის შემდეგ, კომპენსაციებზე გაწეული ხარჯი 3,8-ჯერ – 347 423-დან 1 304 491 ლარამდე გაიზარდა, 2013-2021 წლებში, სულ სახელმწიფო კომპენსაციებზე 8 798 898 ლარი გაიცა. **მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში,** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვ. **სამტრედიის მუნიციპალიტეტში,** სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 1 388 ოჯახია (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ 1,6-ჯერ, 1 795 ათასიდან 2 903 ათას ლარამდე გაიზარდა საარსებო შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, საარსებო შემწეობაზე სულ დაიხარჯა 24 442 000 ლარი, მათ შორის პენსიონრებზე – 6 047 ათასი ლარი, შშმ პირებზე – 1819 ათასი, ბავშვებზე – 8 359 ათასი ლარი. **შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებულ პირთა წრე** ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – **სამტრედიაში,** სოციალური პაკეტით სარგებლობს 2192 მიზნობრივი ჯგუფი (01.04.2021 წ. მდგომ.), 2012 წლის შემდეგ, გაწეული ხარჯი 6-ჯერ – 571 013-დან 3 457 587 ლარამდე გაიზარდა. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 21 999 105 ლარი.

სამტრედის მუნიციპალიტეტში 1 765 დევნილია (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, 619 866-დან 985 590 ლარამდე გაიზარდა შემწეობებზე გაწეული

ხარჯი. 2013-2021 წლებში სულ 7 596 263 ლარი დაიხარჯა. **დევნილებზე** ზრუნვა, მათი განსახლება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. 2013 წლიდან, განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, დევნილებს ახალაშენებულ კორპუსებში ბინები და სოფლად სახლები გადაეცემათ. 2013 წლიდან (07.2021 წ. მონაც.), საქართველოს მასშტაბით, განსახლების პროგრამებით, საცხოვრებელი ფართი 23 068-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა, მათგან **სამტრედიის მუნიციპალიტეტში** დაკმაყოფილდა 189 დევნილი ოჯახი, მათ შორის: 79 ოჯახს გადაეცა ბინა ახალაშენებულ და რეაბილიტირებულ კორპუსებში, პროექტით „სოფლად სახლი“ სახელმწიფომ სახლი 65 ოჯახს შეუსყიდა; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართი 80 ოჯახს დაუკანონდა. საქართველოს მასშტაბით, 2021 წლის ბოლომდე, დამატებით, 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება. ასევე გრძელვადიანი საცხოვრებლით სახელმწიფომ, საქართველოს მასშტაბით, 1997 **ეკომიგრანტი ოჯახი** დააკმაყოფილა: 2013-2021 წ.წ. 667 ოჯახს დაუკანონდა საცხოვრებლი ფართი და მიწის ნაკვეთი, 386 დაკანონების პროცესშია. **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამით** (მესამე და მომდევნო ბავშვი) **სამტრედიაში,** დაფინანსებულია 189 ბენეფიციარი (1.04,2021 წ. მდგომ.), 2016-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 2 187 000 ლარი, მათ შორის, 2020 წელს – 357 450 ლარი.

ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ: სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და სხვ. **ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ.წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი. **სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად **(1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ).** პროგრამაში, 2020 წელს, **სამტრედიის მუნიციპალიტეტიდან,** ჩართული იყო 788 ოჯახი, 2021 წელს (06.2021 წ. მდგომ.) – 913 ოჯახი. **ყოველთვიური დახმარება (თვეში 100 ლარი)** განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი. პროგრამით მუნიციპალიტეტში, 2020 წელს ისარგებლა 236-მა პირმა, 2021 წელს (06.2021 წ. მონაცემ.) – 263-მა. **მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისა და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის,** სოციალური პაკეტის დახმარებასთან ერთად, დამატებით 100 ლარი (6 თვით) – პროგრამაში, 2020 წელს, ჩაერთო 530 პირი (2021 06.2021 წ. მონაცემ.) – 530.

„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივ სახელმწიფო პროგრამით, დასაქმების სახელწიფო სააგენტო კომპენსაციებს გასცემს იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი – 2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი – 2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. **ერთჯერადი 300-ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867-მა **ფორმალურმა/არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა,** ჯამში, 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან ერთჯერადი, 300-ლარიანი კომპენსაციები გაიცა იმ პირებზე, **ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა** (121 634 პირზე ჯამში 36 490 200 ლარი). **დაქირავებით დასაქმებულებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამსახური ან იყვნენ უხელფასო შვებულებაში,** დაწესდა ფინანსური დახმარება 1200-ლარიანი კომპენსაციით (6 თვე, თვეში – 200 ლ). ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, სოციალური დახმარების მიზნით, კომპენსაცია ჯამში მიიღო: 2020 წელს – 162 271-მა პირმა (131 237 800 ლ), 2021 წელს – ჯამში გაიცა 141 909 200 ლარის კომპენსაცია.

2013 წელთან შედარებით 3,1-ჯერ გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება. 2020 წელს სოციალური დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 747,3 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი კი 238,0 ათასი ლარი იყო.

მუნიციპალიტეტი, 2012-2021 წლებში, სოციალური დაცვის სფეროში, ახორციელებს 4 პროგრამას: ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა (ახალშობილთა და მრავალშვილიანთა დახმარება, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვა. მეორე მსოფლიო ომის მონაწილეების ფინანსური დახმარება, სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა ფინანსური დახმარება.

სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, სიღატაკის დაძლევისა და სიღარიბის შემცირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:

- შეიქმნება მდგრადი, ეფექტიანი, კოორდინირებული სოციალური დაცვის სისტემის საკანონმდებლო გარანტიები;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- გაიზრდება სოციალური სერვისების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა;
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტის საპენსიო ასაკის პირთა პენსიით უზრუნველყოფა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, რაც ითვალისწინებს სახელმწიფო პენსიის ინდექსაციას და უზრუნველყოფს საპენსიო ასაკის მოსახლეობისათვის სოციალური გარანტიების შექმნას;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილი იქნებიან საარსებო შემწეობით;
- გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა;
- გაგრძელდება დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება შრომის უსაფრთხოებისა და დასაქმების ეფექტიანი პოლიტიკა;
- შეიქმნება/დაიხვეწება და განვითარდება საქართველოში შრომითი მიგრაციის მარეგულირებელი კანომდებლობა; გაჩნდება და დაიხვეწება შრომითი მიგრანტების (ემიგრანტები/იმიგრანტები) უფლებების დაცვის გამართული და ქმედითი მექანიზმები;
- გაგრძელდება ცირკულარული შრომითი მიგრაციის სფეროში გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში საქართველოს მოქალაქეების საზღვარგარეთ დროებით ლეგალურად დასაქმების ხელშეწყობა.
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები.

განათლება

განათლების სისტემის განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. 2012 წლის შემდეგ, საქართველოში განხორციელდა ფუნდამენტური სისტემური ცვლილებები მაღალი ხარისხის განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. მათ შორის, შეიქმნა განათლების სისტემის ფინანსური მდგრადობის უზრუნველმყოფი საკანონმდებლო გარანტიები, დაიხვეწა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის მარეგულირებელი კანონმდებლობა, დადგინდა და დაინერგა ძირითადი სტანდარტები.

განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამის დასტურია ის, რომ **2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 2,5-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება. 4-ჯერ გაიზარდა სკოლამდელი განათლების, თითქმის 2-ჯერ – ზოგადი განათლების, 5,3-ჯერ – პროფესიული განათლების და 2-ჯერ – უმაღლესი განათლების ბიუჯეტი. მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდამ – 65%, ხოლო საშუალო ხელფასის – 120%-შეადგინა. 600 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.** 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგთა ხელფასების ზრდა და ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

2013-2020 წლებში, საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა **მშენებლობა-რეაბლიტაციისა და აღჭურვის** მიზნით 427 მლნ 789,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2017-2020 წლებში – 289 მლნ 137,8 ათასი ლარი.

2012-2020 წ.წ. დასრულებულია 68 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, დასრულებულია 140-მდე სკოლის **სრული რეაბილიტაცია**, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 91 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1300-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას.

2017-2020 წლებში დასრულებულია 42 საჯარო სკოლის (მათ შორის, 19 მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა) სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამასთან, მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით 2 ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება. დასრულებულია 83 სკოლის სრული რეაბილიტაცია, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 41 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას;

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს **608 სამედიცინო** კაბინეტი (სკოლის ექიმი). საჯარო სკოლებში დასაქმებულია **145 ფსიქოლოგი**.

„ქართულმა ოცნებამ“ ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა **პროფესიული განათლების** სისტემის განსავითარებლად. 2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვის მიზნით დაიხარჯა 100 მლნ ლარზე მეტი. დაფუძნდა 8 ახალი პროფესიული დაწესებულება და არსებულ ქსელს დაემატა 16 ახალი ლოკაცია. ყველა სახელმწიფო კოლეჯს ჩაუტარდა სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, აშენდა 2 ახალი საერთო საცხოვრებელი. 10-ზე მეტ პროფესიულ დაწესებულებას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მათგან 4 კოლეჯში რეაბილიტაცია განხორციელდა უნივერსალური დიზაინის ნორვეგიული სტანდარტის შესაბამისად. 14 პროფესიულ დაწესებულებაში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB). 2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტს/მსმენელებს პირველად მიიღებენ ახლად განვითარებული კოლეჯები/ფილიალები კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში. მიმდინარეობს დამატებით 5 პროფესიული დაწესებულების/ფილიალის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კადრებს მოამზადებენ. 2018 წელს დამტკიცდა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელმაც შესაძლებელი გახადა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება. რეფორმის ფარგლებში, გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსება; ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში; დაინერგა ინტეგრირებული პროგრამები, რომელთა გავლის შემდეგ საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირი სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებს; შეიქმნა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა, რაც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; გაძლიერდა ინკლუზიური პროფესიული განათლება და სხვ.

2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ, გაიზარდა **უმაღლესი განათლების** დაფინანსება. **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით:** სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ყოველწლიურად სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება 30 000-მდე სტუდენტი; გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამებით, ყოველწლიურად, ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების I-II საფეხურებზე (წლიური ბიუჯეტი 2 მლნ 725 ათასი ლარი); დაფინანსება გამოეყოფათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას აგრძელებენ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (წლიური ბიუჯეტი – 285 ათასი ლარი); სახელმწიფო აგრძელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას (პროგრამის ბიუჯეტი – 5 მლნ ლარი); გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის (პროგრამის ბიუჯეტი – 4,7 მლნ ლარი); დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (პროგრამის ბიუჯეტი – 20 ათასი ლარი); ყოველწლიურად ფინანსდება და, 2014-2019 წლებში, 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გაიცა წარმატებული ახალგაზრდების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისათვის. 2016 წლიდან ამოქმედდა და სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები. 2019 წლიდან ამოქმედდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო აფინანსებს მათი სწავლის საფასურს. 2019 წლიდან მსჯავრდადებულებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ/სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2012 წლის შემდეგ, 80%-ით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების** ხელშეწყობის დაფინანსება. 2015 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება 2-ჯერ, ხოლო მეცნიერთა ხელფასები, საშუალოდ, 3-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ამოქმედდა პროგრამული დაფინანსების მექანიზმი და სადღეისოდ ფინანსდება 47 კვლევითი ინსტიტუცია.

სკოლამდელი აღზრდა და განათლება

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილება და პრიორიტეტია. სამტრედიაში ფუნქციონირებს 24 მუნიციპალური საბავშვო ბაგა-ბაღი, მათგან 11 – ქ. სამტრედიაში.

2013 წლის შემდეგ საქართველოს მასშტაბით საბავშვო ბაღები გახდა უფასო. მნიშვნელოვნად გაიზარდა სამტრედიაში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დაფინანსება. 2020 წელს, განათლების მიმართულებით, მუნიციპალიტეტის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 3 მლნ 180,6 ათასი ლარი შეადგინა, მათ შორის, 1 მლნ 987,1 ათასი – სკოლამდელი განათლების მიმართულებით. 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 908,5 ათასი ლარი იყო.

2014-2021 წლებში, სამტრედიის მუნიციპალიტეტში, ნაწილობრივი რეაბილიტაციის არაერთი პროექტი განხორციელდა. მათ შორის: 2015 წელს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების რეაბილიტაციაზე, რეგიონული განვითარების ფონდიდან 283,7 ათასი ლარი დაიხარჯა. 2017 ჩატარდა სამტრედიის №1 და სოფ, ღანირი საბავშვო ბაღების სრული რეაბილიტაცია, რაზეც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 193 ათასი ლარი დაიხარჯა. **2017 წელს** – ქ. სამტრედიის №1 საბავშვო ბაღის შიდასარემონტო სამუშაოებზე 94, 5 ათასი ლარი დაიხარჯა. **2018 წელს:** გადამზადდნენ მეთოდისტები, შეიქმნა განათლების ხარისხის მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესს უწევს მონიტორინგს; განხორციელდა ყველა საბავშვო ბაგა-ბაღის შენობების სარემონოტო სამუშაოები. **2019 წელს:** მოხდა ექთნების დატრენინგება და სერტიფიცირება; საბავშვო ბაგა-ბაღებში ჩატარდა სარემონტო სამუშაოები – მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 14 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციაზე, ჯამში, 285,9 ათასი ლარი დაიხარჯა. სოფ. ნაბაკევში აშენდა ახალი საბავშვო ბაღი (ერთი ხელშეკრულების ფარგლებში, Design-Build მეთოდით, 1 მლნ 155, 663 ათასი ლარი). **2020 წელს** მუნიციპალიტეტის 17 საბავშვო ბაღშის სველი წერტილებისა და სამზარეულოების რეაბილიტაციაზე, რეგიონული განვითარების ფონდიდან, 148,1 ათასი ლარი დაიხარჯა.

შესრულებული სამუშაოების შედეგად, 2021 წელს, 2013 წელთან შედარებით, საბავშვო ბაღებში **აღსაზრდელთა რაოდენობა** 1100-დან 1533-მდე გაიზარდა. **კვების თანხა** კი თითოეულ აღსაზრდელზე – 1,0-დან 2.0 ლარამდე, სრულფასოვანი გახდა ბავშვების **კვების რაციონი.** 2019 წელს მუნიციპალიტეტში დაინერგა **სასკოლო მზაობის** პროგრამა, რომელშიც 509 ბავშვი ჩაერთო (2020 წლისთვის – 216). საბავშვო ბაღებს 64 აღმზრდელ-პედაგოგი და 66 აღმზრდელის თანაშემწე ემსახურება. ყველა საბავშვო ბაღს ჰყავს ექთანი. 2012 წლის შემდეგ, აღმზრდელ-პედაგოგთა შრომის ანაზღაურება 170 ლარი-

დან 545 ლარამდე გაიზარდა, ასევე 125 ლარით გაიზარდა საბავშვო ბაგა-ბაღების ქსელის ყველა თანამშრომლის ხელფასი.

ზოგადი განათლება

ფუნქციონირებს 35 საჯარო სკოლა (მათგან 12 – ქალაქში), რომელშიც 6277 მოსწავლე და 785 მასწავლებელია, მათგან 31 სპეციალური მასწავლებელი. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, 2020 წლის მაისის მდგომარეობით, იდენტიფიცირებულია 107 სსსმ მოსწავლე. 14 საჯარო სკოლაში საზოგადოებრივ წესრიგს 27 მანდატური იცავს. საჯარო სკოლებს 7 ექიმი და 2 ფსიქოლოგი ემსახურება.

2013-2021 წლებში, ზოგადი განათლების სფეროში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინიტრომ, სამტრედიის მუნიციპალიტეტში, განახორციელა სხვადასხვა პროგრამა. მათ შორის: 2013-2019 წლებში, **წარჩინებულ მოსწავლეთა მედლების ქვეპროგრამით**, გამოვლინდა 384 ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი. მათ შორის, 2018-2019 წლებში – 99 ოქროს და 28 ვერცხლისმედალოსანი. **ეროვნულ სასწავლო ოლიპიადებში** 4144 მოსწავლე მონაწილეობდა. 2017-2020 წლებში, საჯარო სკოლებზე 1581 **სასკოლო ჟურნალი** და 153 512 **სახელმძღვანელო** დარიგდა უფასოდ. **საჯარო სკოლის ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამაში** ჩართულია 23 საჯარო სკოლის (72 მიმართულება) 1314 მოსწავლე (2018-2019 წ. I სემესტ.); **სასკოლო აქტივობების ხელშეწყობის პროგრამით,** 2013-2018 წლებში, სულ 65 სასკოლო პროექტი დაფინანსდა. 2019 წელს, პირველკლასელებს 3758 კომპიუტერი (მათ შორის, 2017-2019 წლებში – 1769). გადაეცათ, კლასის დამრიგებლებს – 206 (2017-2019 წლებში – 87). ამავე წლებში კომპიუტერით დასაჩუქრდა 428 წარჩინებული მოსწავლე (მათ შორის, 2017-2019 წლებში – 238 მოსწავლე). 2019-2021 წლებში „ახალი სკოლის“ მოდელი 25 საჯარო სკოლაში დაინერგა. **ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამით,** 2018-2019 წლებში, საჯარო სკოლების **ოპტიკური კავშირითა და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით** აღჭურვის 45 და **რადიოტექნოლოგიითა და გაუმჯობესებული კავშირის სიჩქარით** უზრუნველყოფის 33 პროექტი, ხოლო, 2016-2018 წლებში, **ლოკალური** უსადენო ქსელით აღჭურვის 18 პროექტი განხორციელდა. **„ახალი სკოლის მოდელის“** ფარგლებში, 2019 წელს, ქალაქ სამტრედიის №11 საჯარო სკოლას 31 კომპიუტერი გადაეცა. **პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის პროგრამით**, სკოლებში პროფესიული უნარების კურსების დანერგვის მიზნით, 2019-2020 წლებში, სამტრედიიდ მუნიციპალიტეტის სკოლებში 10 პროექტი განხორციელდა. **2015-2019 წლებში,** საჯარო სკოლების **შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით**, ავეჯით, სპორტული ინვენტარითა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით აღჭურვის 63 პროექტი განხორციელდა. **მასწავლებელთა პროფესიული განვითარების** მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში კონსულტანტ-მასწავლებლებმა, ადგილობრივმა და უცხოელმა მასწავლებლებმა გაიარეს ტრენინგ-მოდულები.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით, 2013-2021 წლებში, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაციის 92 პროექტი განხორციელდა. ადაპტირებულია 33 საჯარო სკოლა, ცენტრალური გათბობით 10 სკოლაა აღჭურვილი. მათ შორის: **2013 წელს** ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა 11 საჯარო სკოლას, რაზეც სულ 661 ათასი ლარი დაიხარჯა; **2014 წელს** ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა 18 საჯარო სკოლას, რაზეც დახარჯულია სულ 1 მლნ 705,4 ათასი ლარი; **2015 წელს** 11 საჯარო სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია და 2 საჯარო სკოლის სამედიცინო ოთახის მოწყობა სულ 330,2 ათასი ლარით დაფინანსდა; **2016 წელს** განხორციელდა 3 ინფრასტრუქტურული პროექტი: ქ. სამტრედიის №11 საჯარო სკოლაში მოეწყო სპორტული მოედანი (65,6 ათასი ლარი), ხოლო 2 საჯარო სკოლაში (ნაბაკევისა და სამტრედიის №3 საჯარო სკოლები) – სამედიცინო ოთახი (11,2 ათასი ლარი), ასევე, რეაბილიტაცია ჩაუტარდა სამტრედიის საგანამანათლებლო რესურსცენტრს. **2017 წელს** დასრულდა სამტრედიის №12 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (241, 3 ათასი ლარი). დაბა კულაშის სკოლის სახურავის რეაბილიტაცია (323,2 ათასი ლარი) და სხვ. **2018 წელს** დაფინანსდა: სახურავებისა და სხვა სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა მუნიციპალიტეტის 7 საჯარო სკოლაში, სპორტული დარბაზის მოსაწყობად დაფინანსდა სოფ. ეწერის საჯარო სკოლა. **2019 წელს –** მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების რეაბილიტაციის 35 პროექტზე, ჯამში, ცენტრალური ბიუჯეტიდან, 735,1 ათასი ლარი დაიხარჯა. ასევე დასრულდა დაბა კულაშის საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია (420 ათასი ლარი) და სპორტული დარბაზის სრული რეაბილიტაცია ეწერის საჯარო სკოლაში (157, 7 ათასი ლარი). **2020 წელს** – მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში, ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსდა 21 ინფრასტრუქტურული პროექტი (ჯამში 671,7 ათასი ლარი). მათ შორის, დაფინანსდა სველი წერტილების მოწყობა-რეაბილიტაციის 17 პროექტი სამტრედიის №1, №4, №6, №8, №9, №11, №15, დიდი ჯიხაიშის №1, ეწერის, იანეთის, კორმაღლის, ნიგორზღვის, ნოღის, ოფეთის №1, ოფეთის №2, ღანირის, ჭოგნარის საჯარო სკოლებში. 2020 წელს დაიწყო და **მიმდინარეობს** ქ. სამტრედიის №4 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია, რაზეც, რეგიონული განვითარების ფონდიდან ჯამში, 2 მლნ 224,2 ათასი ლარი დაიხარჯება.

პროფესიული განათლება

სამტრედიაში ფუნქციონირებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დიდი ჯიხაიშის ნიკო ნიკოლაძის სახელობის აგროინჟინერიისა და სასურსათო ტექნოლოგიების პროფესიული კოლეჯი. 1925 წელს ამ სასწავლებლის დაარსება დიდი ნიკო ნიკოლაძის სახელს უკავშირდება.

2013 წელს გაეროს განვითარების პროგრამით – „უნარების განვითარება სასოფლო-სამეურნეო მანქანებისადმი ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით“, სტუ-ს დიდი ჯიხაიშის პროფესიულ კოლეჯში ტრაქტორისტ-მემანქანის გადამზადების კურსები 146 მსმენელმა გაიარა. აღსანიშნავია, კოლეჯის ბაზაზე მომზადებული მსმენელების მიერ მართვის მოწმობის მიღების მაჩვენებელი ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე მაღალი იყო. 2015 წლიდან კოლეჯი სტუ-ს აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის სტრუქტურაში გადავიდა.

აგროინჟინერიისა და სასურსათო ტექნოლოგიების პროფესიული კოლეჯს სტუდენტებისათვის აქვს საერთო საცხოვრებელი სტუდენტებისა და მასწავლებლებისათვის, სასწავლო კორპუსი, მიწის ნაკვეთები (დაახლ. 27 ჰა, აქედან 16 ჰა – საცდელი მეურნეობა). თეატრი, სპორტული დარბაზი.

2020 წლიდან დაიწყო დაწესებულების სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც რამდენიმე თვეში დასრულდება. განახლებული, თანამედროვე ინვენტარითა და ტექნიკით აღჭურვილი კოლეჯი მსურველებს, ძირითადად, სოფლის მეურნეობის მიმართულების პროფესიულ პროგრამებს შესთავაზებს. პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან 5 მლნ 600 ათასი ლარით დაფინანსდა.

კოლეჯმა, 2019-2020 ს/წელს, 59 ახალი სტუდენტი მიიღო, პროფესიულ პროგრამებში ჩართულა სულ 120 პირი. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, დაეუფლონ მევენახე-მებაღის, მეფუტკრის, ბუღალტრისა და IT სპეციალისტის პროფესიებს.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების საჯარო სკოლა

„ქართული ოცნების“ უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტების – განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით განხორციელდება:

- საჯარო დაწესებულებებში ადრეული და სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო, გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება;
- საბავშვო ბაგა-ბაღებში იგეგმება სარემონტო სამუშაოები და დამხმარე ნაგებობების რეაბილიტაცია-აღჭურვა. ასევე, აღმზრდელების, აღმზრდელის თანაშემწეებისა და მუსიკის მასწავლებელთა დატრენინგება, რისთვისაც 250 ათასი ლარი დაიხარჯება; საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იქნება აღსაზრდელთა ტრანსპორტით მომსახურება;
- ეტაპობრივად გაიზრდება აღმზრდელ-პედაგოგთა შრომის ანაზღაურება;
- განხორციელდება ღონისძიებები სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებზე მორგებული განათლების მომსახურების უზრუნველსაყოფად;
- მნიშვნელოვნად გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, გაიზრდება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- რეფორმის ფარგლებში დაინერგება მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პრინციპები;
- გაგრძელდება საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები. მათ შორის: მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში სხვადასხვა ტიპის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 860 ათასი ლარი დაიხარჯება;
- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელდება სამტრედიაში იდენტიფიცირებული 6-დან 16 წლამდე სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ოჯახებთან/ფაქტობრივ მეურვეებთან კომუნიკაცია ბავშვების განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით. უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეები უფასო ტრანსპორტირება;
- განხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების რეაბილიტაცია;
- გაიზრდება პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამების ხელმისაწვდომობა, შემუშავდება პროფესიული განათლების მიღმა მყოფი მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიკაციისა და პროფესიულ განათლებაში ჩართვის მექანიზმები;
- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, დაინერგება კვალიფიკაციების ახალი ჩარჩო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და პროცედურები, კრედიტების ახალი სისტემა და კერძო სექტორის მიერ/მონაწილეობით პროფესიული სტანდარტების შემუშავების წესი; ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსების ახალი მოდელი, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრად განვითარებასა და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირებას;
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ, ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛᲐ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗ ᲬᲘᲜᲡᲕᲚᲐᲡ, ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲔᲥᲪᲔᲕᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲐ-ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐ-ᲠᲔᲡᲢᲐᲕᲠᲐᲪᲘᲐᲡ, ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲜᲡᲐᲦᲘ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲐᲡ. ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲡ.

2017-2020 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ Ჯ�გᲣᲤᲔᲑᲘ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚ, ᲠᲔ�გᲘᲝᲜᲣᲚ, ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠ ᲓᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚ-ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲔᲑᲨᲘ. ასე მაგალითად: სამტრედიის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრთან არსებულმა დრამატულმა თეატრმა **2017 წელს** გამართულ **თეატრალურ ფესტივალზე – „თეატრალური იმერეთი“** წარმოადგინა სპექტაკლი „მე ვხედავ მზეს“ (ნოდარ დუმბაძის რომანის მიხედვით) და გაიმარჯვა 2 ნომინაციაში – მამაკაცისა და ქალის როლის შესრულებისათვის. იმავე კონკურსში, **2018 წელს,** თეატრი წარმოდგენილი იყო სპექტაკლით – „უნებლიე ავანტიურისტები“ (ალექსანდრე კოროვსკი) და ორი ნომინაციის – „მაყურებლის სიმპათია“ და „საუკეთესო თარგმანი“ გამარჯვებული გახდა, „თეატრალური იმერეთი-2019“-ზე კი სპექტაკლით – „შერეული გრძნობები“ (რიჩარდ ბაერი) გაიმარჯვა ნომინაციაში ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის.

2017 წლიდან 2020 წლის ჩათვლით, მუნიციპალიტეტში, კულტურის მიმართულებით ჩატარდა სხვადასხვა სახის ღონისძიებები, მათ შორის: სახალხო დღესასწაული „ნიკოობა“, ლაშქრობა ენათმეცნიერ აკაკი შანიძის სახელობის მწვერვალზე, აკაკი შანიძისადმი მიძღვნილი საღამო, გიორგი ნიკოლაძის 130 წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ევროპული მემკვიდრეობის დღე, წმ. ნაზარისადმი (ლეჟავა) მიძღვნილი ღონისძიება, ფოტოკონკურსი სხვადასხვა თემაზე, განხორციელდა პროექტები: „ჩემი კულტურული მემკვიდრეობა“, „ქალაქი და ადამიანები“, „ოდა სახლები“. მოეწყო შემეცნებითი სახის ლაშქრობა ტელეფისის ციხეზე. აღინიშნა მუზეუმის საერთაშორისო დღე და სხვ.

2013-2021 წლებში განხორციელდა კულტურის ობიექტების **მშენებლობა-რეაბილიტაციის** პროექტები. მათ შორის:

2013 წელს განხორციელდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რაზეც 148,9 ათასი ლარი დაიხარჯა, **2015 წელს** კი მის კეთილმოწყობას 68,9 ათასი ლარი მოხმარდა. **2015 წელს** ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრში მოეწყო დარბაზი, ფოიე, შეიცვალა კარ-ფანჯრები, რეაბილიტაცია ჩაუტარდა სახურავს, რაზეც 58,1 ათასი ლარი დაიხარჯა. მუნიციპალიტეტში არსებული ორი მუსიკალური სკოლის შენობის რეაბილიტაციას (სახურავებისა და კარ-ფანჯრების შეცვლა) 91,5 ათასი ლარი მოხმარდა.

ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ

სამტრედიაში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული შემდეგი დაწესებულებები: ა(ა)იპ „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება“, რომელშიც გაერთიანებულია – საქალაქო №1 ბიბლიოთეკა, საქალაქო №5 ბიბლიოთეკა, საქალაქო საბავშვო ბიბლიოთეკა, ღანირის, ჯიხაიშის, გომის, ბაშის, საჯავახოსა და კულაშის სასოფლო ბიბლიოთეკები. მუნიციპალიტეტში, აგრეთვე, ფუნქციონირებს ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტოლების სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ ქორეოგრაფილი ანსამბლი „ლილე“, ბავშვთა შემოქმედებითი გაერთიანება „ორუდილა“, ანსამბლები „ალილო“ და „ჩანგი“, სამეჯლისო ცეკვების ანსამბლი შოუ-ბალეტი „ფანტაზია“, ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა, ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლა, ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის №2 სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დ. შანიძის სახელობის №1 სახელოვნებო სკოლა, ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი, ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი და სსიპ – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი, ა(ა)იპ სამხატვრო სკოლა-გალერეა.

2013 წელთან შედარებით გაიზარდა კულტურის სფეროს დაფინანსება. 2020 წელს კულტურის მიმართულებით მუნიციპალიტეტის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 942,6 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 812,4 ათასი ლარი იყო.

2014-2021 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში. მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად ეწყობოდა გამოფენები (ეთნოგრაფიული, მხატვართა და სხვ.), იმართებოდა პოეზიისა და თემატური საღამოები, კონფერენციები, ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“, „ბრეინ-რინგი“, „ჯეპარდი“, ტარდებოდა ფესტივალები, კონკურსები, კონცერტები (ქალთა დღისადმი მიძღვნილი, საახალწლო და სხვ.), მწერლების, საზოგადო მოღვაწეებისა და მნიშვნელოვანი თარიღებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. მუნიციპალიტეტის სახელოვნებო ორგანიზაციების წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობდნენ რეგიონულ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო გამოფენებში, ფესტივალ-კონკურსებში, საქველმოქმედო კონცერტებში და სხვ.

2019 წელს ეროსი მანჯგალაძის სახელობის დრამატული თეატრში 10 ახალი პიესა დაიდგა, რომლებსაც, საერთო ჯამში, 8200 მაყურებელი დაესწრო.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებულ კულტურულ და სახელოვნებო დაწესებულებებში შემავალი შემოქმედებითი კოლექტივები, მონაწილეობენ სხვადასხვა ფესტივალებსა და ღონისძიებებში როგორც ადგილზე, ისე მთელი საქართველოს მასშტაბით. ასე მაგალითად: ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ფუნქციონირებენ შემოქმედებითი ჯგუფები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი რაიონულ, რეგიონულ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსებში, ტარდება საინტერესო ღონისძიებები, მათ შორის: საქართველოს თასი სპორტულ ცეკვებში – საკლუბო ტურნირი; საქველმოქმედო საღამო – შობის ღამის სიზმარი; შოუ ბალეტი ფანტაზია – ქუთაისის ნიღბების თეატრში; მე ვცხოვრობ დროში, დრო ჩემში ცხოვრობს – შეხვედრა რეჟისორ ვეფხია ნადირაძესთან (მოსწავლეთა პარლამენტი); მოსწავლეთა 73 სასწავლო შემოქმედებითი კონფერენცია; „ჩვენც დავბერდებით“; ანსამბლ „ჩანგისა“ და საზოგადოება „სამტრედიელის“ ვიზიტი „სათნოების სახლში“; გასვლითი ტურნე აზერბაიჯანში, ქორეოგრაფიული ანსამბლი „ლილე“ – ბაქო; „ქუთაისობა“– გვირილობა“ (ღონისძიებაში მონაწილეობა); „სამტრედიის ისტორია“ (ნორჩ ისტორიკოსთა და მხარეთმცოდნეობის წრე); ვიზიტი კადეტთა ლიცეუმში (მოსწავლეთა პარლამენტი); „ლილე“ – გასვლითი კონცერტი მცხეთაში; ღია კარის დღე გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმში – მოსწავლეთა პარლამენტის გასვლითი ღონისძიება; „არაფორმალური განათლების გამოწვევები“ – თბილისში მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში კონფერენცია და სხვ.

მიმდინარეობს კულტურის ცენტრისა და კულტურის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები – პროექტის ღირებულება 620 ათასი ლარია და ის მიმდინარე წლის ბოლოსთვის უნდა დასრულდეს.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში მუნიციპალიტეტში განხორციელდა პროექტები: სსიპ „ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი“ – უნიკალურ მცენარეთა დენდროპარკის რეაბილიტაცია და ეზოს შეღობვა (16,8 ათასი ლარი, 2013); სსიპ „ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის“ უნიკალური დენდროპარკის რეაბილიტაციის II ეტაპის სამუშაოები (14,8 ათასი ლარი, 2014); სსიპ „ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი“ – საცხოვრებელი სახლისა და სამეურნეო ნაგებობების რეაბილიტაცია (178, 1 ათასი ლარი, 2015); ნ. ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის კომპლექსში შემავალი 4 შენობის გათბობა-გაგრილება-ვენტილაციისა და დრენაჟის სისტემების მოწყობა, სველი წერტილებისა და ელექტროგაყვანილობის შეცვლა (ფონდი „ქართუ“, კულტურის სამინისტროს ეგიდით, 2016).

2018 წლიდან საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაქვემდებარებაშია ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი სოფელ დიდ ჯიხაიშში, რომელსაც 2019-2021 წლებში 7397 ვიზიტორი სტუმრობდა.

კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაშია სამტრედიის მხარეთმცოდნეობის მუზუმი, რომელსაც, **2013-2018 წლებში,** 10 919 ვიზიტორი სტუმრობდა და სადაც იმავე პერიოდში 20 თემატური გამოფენა მოეწყო.

2017 წელს, სამინისტროს ჩართულობით, განხორციელდა ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის შენობის გათბობა-კონდიცირებისა და ეზოს რეაბილი-

ტაციის პროექტი; სოფ. დიდი ჯიხაიში, **2019 წელს კი** სამინისტრომ დაბა კულაში, ხის ეკლესიის მცირე სარეაბილიტაციო პროექტი განახორციელა.

2019 წელს, მთელი საქართველოს მასშტაბით, მათ შორის სამტრედიის მუნიციპალიტეტში, კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდა სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტები: **„მოდერნის სტილის არქიტექტურული მემკვიდრეობის კვლევა საქართველოში – გამოვლენა, აღრიცხვა და შესწავლა“** (პროექტის საერთო ბიუჯეტი – 19,7 ათასი ლარი) და **„საქართველოს კერამიკის გზა“** (24,6 ათასი ლარი).

სამტრედიის მუნიციპალიტეტს ფარავს **„ებრაული მემკვიდრეობის ევროპული მარშრუტი საქართველოში“,** რომელიც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციასა და კულტურული ტურიზმის განვითარებას.

ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი

სპორტი

სამტრედიის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტსკოლა, ა(ა)იპ საფრენბურთო კლუბი „ჯიკო", ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი, (ა)იპ ხელბურთელთა კლუბი „სამტრედია“ და ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი „ფალავანი".

2020 წლისთვის ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტსკოლის 380 მოსწავლეს 23 მწვრთნელი ემსახურებოდა.

2013 წელთან შედარებით გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სპორტის სფეროს დაფინანსება. 2020 წელს სპორტის მიმართულებით მუნიციპალიტეტის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 1 მლნ 516,8 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი კი 695,9 ათასი ლარი იყო.

მუნიციპალიტეტის სპორტის პრიორიტეტული სახეობებია: ფეხბურთი, ფრენბურთი, ხელბურთი, ცხენოსნობა, კალათბურთი, კარატე, მძლეოსნობა, ჭადრაკი, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, თავისუფალი ჭიდაობა, ქართული ჭიდაობა, ძიუდო, სამბო, მაგიდის ჩოგბურთი, რაგბი, კიკბოქსინგი და აკრობატიკა.

აღსანიშნავია სპორტსმენთა შედეგები: 2017 წელს **საფეხბურთო კლუბი „სამტრედია“** საქართველოს ჩემპიონი გახდა, უმაღლეს ლიგაში კლუბი მესამე ადგილისა და სუპერ თასის მფლობელი გახდა. 2018 წელს „სამტრედიამ“ ევროპა ლიგის საგზური მოიპოვა, 2019 წელს კი „ლიგა– 2“-ში მეორე ადგილი აიღო. ააიპ **ქალთა საფრენბურთო კლუბი „ჯიკო“,** 2000 წლიდან დღემდე, არის ათგზის საქართველოს ჩემპიონი, შვიდგზის ვერცხლისა და ორგზის ბრინჯაოს მედლების მფლობელი, ევროპის ჩემპიონთა ლიგის ორგზის მონაწილე, სომხეთის საერთაშორისო ტურნირის ორჯერ გამარჯვებული. 2018 წელს საქართველოს 27-ე ეროვნული ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი, 2019 წელი – საქართველოს 28-ე ეროვნული ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი, 2019-2020 წლის 29-ე ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის ერთპიროვნული ლიდერია. ააიპ **ხელბურთელთა კლუბი „სამტრედია“** 2017 წელს საქართველოს ჩემპიონი გახდა. შთამბეჭდავია **საჭიდაო კლუბ „ფალავნის“** წევრების, 2017-2019 წლების, შედეგებიც – ევროპის ჩემპიონატზე მესამე საპრიზო ადგილი. საქართველოს ჩემპიონები და პრიზიორები. მსოფლიო ჩემპიონატი მე-3 ადგილი. ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონატზე მე-2 საპრიზო ადგილი. **საცხენოსნო სპორტულმა კლუბმა,** 2018 წელს, ანაკლიაში გამართულ შეჯიბრზე პირველი ადგილი, მარტვილში კი „მარტვილის თასი“ აიღო. სამტრედიელმა სპორტსმენებმა, სხვადასხვა პერიოდში წარმატებას მიაღწიეს სპორტის თითქმის ყველა სახეობაში.

2014-2021 წლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის არაერთი პროექტი. მათ შორის: 2017 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტში მინისტადიონების რეაბილიტაციას 90 ათასი ლარი მოხმარდა. **2018-2019 წლებში** ქ. სამტრედიასა და მუნიციპალიტეტის სოფლებში 12 სპორტული მინიმოედანი მოეწყო, რაზეც, საერთო ჯამში, 700,8 ათასი ლარი დაიხარჯა. **2018 წელს დაიწყო და მიმდინარეობს ახალი საფეხბურთო სტადიონის მშენებლობა ქ. სამტრედიაში. პროექტის საერთო ღირებულება 10 მლნ ლარია.**

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით, სპორტულმა ფედერაციებმა მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახეობის შიდა ჩემპიონატები ჩაატარეს, სამინისტრომ დააფინანსა ქუჩის სავარჯიშო მოწყობილობების მშენებლობა, ჩატარდა სხვადასხვა სპორტული ღონისძიება.

სამინისტროს ჩართულობით, 2018-2020 წლებში, მუნიციპალიტეტში ჩატარდა ევროპის სპორტის კვირეული, აღინიშნა საერთაშორისო დღე – **„სპორტი მშვიდობის და განვითარებისთვის".**

ახალგაზრდული პოლიტიკა

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში, ახალგაზრდების ჩართულობითა და ახალგაზრდული პარლამენტის ინიციატივით, განხორციელდა არაერთი პროექტი, მათ შორის: ინტელექტუალური თამაშები, აქციები, დებატები „ჭკუის კოლოფები“, „ყველაზე წიგნიერი“, სასწავლო შემოქმედებითი კონფერენციები, შეხვედრები საინტერესო ადამიანებთან, თანამშრომლობა განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებთან, კერძოდ, სკოლასთან „ლამპარი“ და „სათნოების სახლთან. ახალგაზრდულ პროექტებში ჩართულია ახალგაზრდების დიდი ნაწილი, იმართება საახალწლო, ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი და სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები. საქველმოქმედო კონცერტები და სხვ.

ახალგაზრდული მიმართულებით სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ მუნიციპალიტეტში განახორციელა პროექტები: „მოხალისეობის განვითარების პროგრამა“ (რეგიონის მასშტაბით, 2-2 ახალგაზრდა მონაწილე თითოეული მუნიციპალიტეტიდან); მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდობაზე პასუხისმგებელ პირთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები და სხვ.

სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მხარდაჭერით, მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციამ „სამოქალაქო საზოგადოება მდგრადი განვითარებისთვის“ განახორციელა პროექტი „სამტრედიის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების გააქტიურება თვითმართველობის პროცესებთან მიმართებაში“ (დაიხარჯა 19,6 ათასი ლარი). პროექტის მიზანი იყო ახალგაზრდებში თვითმმართველობის იდეის გავრცელება და პოპულარიზაცია, ადგილობრივი პრობლემებისა და პრიორიტეტების თვითმმართველობის ბიუჯეტსა და პროგრამებში ასახვისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა და სხვ.

2025 წლამდე კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით სამტრედიის მუნიციპალიტეტში შემდეგი ღონისძიებები გატარდება:

- უზრუნველყოფილი იქნება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ინსტიტუციების ეფექტიანი და შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობა;
- გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების დაფინანსება;
- გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის;
- ხელი შეეწყობა სახელოვნებო განათლების განვითარებას;
- განხორციელდება კულტურული ცხოვრების ხელშემწყობი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა-რეაბილიტაციის ღონისძიებები;
- ქ. სამტრედიის ცენტრში მხარეთმცოდნეობის მუზეუმისთვის აშენდება თანამედროვე ტიპის ახალი შენობა, რაზეც 500 ათასი ლარი დაიხარჯება;
- აკაკი შანიძის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია სოფელ ნოღაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან 70 ათასი ლარით დაფინანსდება (წილობრივი დაფინანსება – სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტი);
- გაგრძელდება სპორტის მასობრივი და მაღალი მიღწევების მქონე სახეობების განვითარება;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა პოპულარიზაციას;
- ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების სპორტული შესაძლებლობების გამოსავლენად, გაგრძელდება წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობა და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნა;
- გაგრძელდება სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია;
- ქ. სამტრედიაში ეროსი მანჯგალაძის სახელობის სტადიონის რეაბილიტაციაზე 3 მლნ 719 ათასი ლარი დაიხარჯება;
- სპორტული მოედნების რეაბილიტიციაზე 580.3 ათასი ლარი დაიხარჯება;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვასა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელებას;
- განხორციელდება სპორტული ცხოვრების განვითარებისა და ახალგაზრდობის ეფექტიანი პოლიტიკის გატარების ხელშემწყობი პროექტები.

ᲩᲔᲛᲝ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲔᲑᲝ!

დიდი პასუხისმგებლობაა, „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატი იყო მუნიციპალიტეტში, რომელშიც საქმიანობის 25-წლიანი გამოცდილება მაქვს.

თქვენი მხარდაჭერის შემთხვევაში ვგეგმავ, ჩვენი საყვარელი მუნიციპალიტეტის განვითარებისაკენ მივმართო მთელი ჩემი ცოდნა და გამოცდილება, რომელიც ამ წლების განმავლობაში დავაგროვე, როგორც სამეურნეო დარგში, ასევე სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობისას. ჩემს მშობლიურ სამტრედიას, რკინიგზელთა ქალაქს, კარგად ვიცნობ და ზუსტად ვიცი, ჩვენი მუნიციპალიტეტის რომელ დასახლებასა თუ უბანს რა სჭირდება და რა არის გასაკეთებელი. ჩემი მთავარი ამოცანაა, განვითარების პარალელურად, სამტრედიას შევუნარჩუნოთ დამახასიათებელი კოლორიტი, რაც მას უფრო საინტერესოსა და მიმზიდველს გახდის.

ამ ეტაპზე, მუნიციპალიტეტში აქტიურად მიმდინარეობს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი, რომლებიც, საზოგადოების აქტიური ჩართულობით, მომავალ წლებშიც გაგრძელდება. ჩვენს მუნიციპალიტეტში მრავალი სფეროს განვითარების რესურსი არსებობს, მუნიციპალიტეტს ტურიზმის განვითარების პოტენციალიც აქვს. შესაბამისად, მაქსიმალურად ვეცდებით, სხვა მიმართულებებთან ერთად, ტურიზმის დარგში საუკეთესო საინვესტიციო გარემო შევქმნათ. მოვდივარ, რათა სამტრედიელების მაქსიმალური ჩართულობით, ერთად გავაძლიეროთ ჩვენი ქალაქი, ერთობლივად ვიზრუნოთ ჩვენი მუნიციპალიტეტის მომავალზე.

ერთად აუცილებლად გავიმარჯვებთ!

„ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:

- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;

- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;

- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;

- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;

- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;

- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;

- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.